№ 22

პარასკევი, 30 იანვარი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 8 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 9 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 22

პარასკევი, 30 იანვარი, 1898 წ

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## ქართული თეატრი

შაბათს, 31 იანვარს,

**ბენეფისი კასირის ყალაბეგიშვილისა**

ქართულის დრამატიულის დასისაგან წარმოდგენილი იქნება

ახალი პიესა

I

**ზანის ვეზირი**

კომედია 4 მოქმედებად, აკაკი წერეთლისა

II

**ადვოკატთან**

ვოდევილი 1 მოქ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ ნნი ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, გარგარელი, რჩეულოვისა, გარელი; ბ ნნი აბაშიძე, დ. მესხი, გედევანოვი, გამყრელიძე, სვიმონიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, მჭედლიშვილი, ადამიძე, კარბელი, საფაროვი, გვარამაძე და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი ქ. მესხი.

ორშაბათს, 2 თებერვალს,

**„ტფილისის სობრანიის“ სადგომში**

„ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ სასარგებლოდ

**გამართული იქნება**

**საცეკვაო საღამო**

საღამო დაიწყება 10 საათზედ.

**შესასვლელის ბილეთის ფასი 2 მან. 10 კაპ.**

სამოქალაქო წოდებისანი ფრაკებით უნდა იყვნენ, სამხედრო წოდებისანი — ამისთანა შემთხვევისათვის ჩვეულებრივს ტანსაცმელში. ქალებისათვის გულ-ღია კაბები სავალდებულო არ არის.

ბილეთების მიღება შეიძლება საღამოს გამგეს, უგანათლებულესს კნეინა თამარა გრუზინსკისთან, ხოლო იმ დღეს, რა დღესაც საღამო გაიმართება, —თვით „სობრანიაში“.

(4—6.—2)

**ტფილისის გუბერნიისა და ზაქათალის ოლქის სახელმწიფო მამულების მმართველი** ამითი აცხადებს, რომ ტყეების ზედამხედველ მოწესედ (რევიზორ-ინსტრუქტორად) დანიშნულია კოლლეჟსკი სოვეტნიკი **მიხეილ კონსტანტინეს ძე მაიაკოვსკი,** რომელიც მოვალეა ცსურველთ 1) შესაფერი დარიგება მისცეს პირადად იქმნება თუ წერილობით ტყის მეურნეობის შესახებ; 2) სამეურნეო აზრით იაროს და ათვალიეროს კერძო თუ საზოგადო ტყეები და 3) თუ თავისუფალი დრო ექმნება, ხელმძღვანელობა გაუწიოს ტყეებში მუშაობისათვის.

ადრესი მაიაკოვსკისა: ტფილისი, სახელმწიფო მამულების მმართველობა.

(3—6.—3).

## ახალი ამბავი

⁂ ქალაქის გამგეობამ, უკანასკნელს კრებაზედ, განიხილა რა პროექტი ტფილისში სასტატისტიკო ბიუროს დაარსების შესახებ, დაადგინა, წარუდგინოს ეს პროექტი ქალაქის საბჭოს და სთხოვს ბიუროსთვის ამა წლის მეორე ნახევარს გადადებულ იქმნას 3,200 მან. ბიუროს შენახვას სულ 7 ათასი მანეთი დასჭირდება. რადგანაც ბიუროს დაარსება ივლისამდე არ მოხერხდება, გამგეობა მხოლოდ ამა წლის მეორე ნახევრისათვის თხოულობს ფულს.

⁂ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ე. პ. იანოვსკი მიწვეულ იქმნა საერო განათლების სამინისტროს მიერ პეტერბურგში ზოგიერთის საგნის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად. ბ-ნი მზრუნველი 6 თებერვალს წავა პეტერბურგს.

⁂ ტფილისის გუბერნატორმა გადასცა ხელოსანთა მოურავს ოთხი ამქრის საჩივარი ამ არჩევანის უკანონობის შესახებ და მოსთხოვა ამ საჩივრების პასუხი შემოიტანეო.

⁂ ქალაქის ტეხნიკოსის გამოანგარიშებით, სამკურნალოსა და ქალაქის ლაბორატორიისათვის შენობის აგება სულ 60 ათას მანეთად დაჯდება.

⁂ დღეს, 30 იანვარს, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების კრებაზედ დ. მ. რონინსკი წაიკითხავს თავისს მოხსენებას „კავკასიაში აბრეშუმეობის განვითარების საშუალებათა“ შესახებ.

⁂ ორშაბათს, 2 თებერვალს, ავჭალის სასადილოს დარბაზში გამართულ იქმნება წარმოდგენა ქართულ ენაზედ. წარმოადგენენ ავ. ცაგარლის 4 მოქ. დრამას „ციმბირელს“. ადგილების ფასი 5 კაპ. დასაწყისი საღამოს 6 საათზედ.

⁂ ამ ჟამად ტფილისის საკრებულო სამხედრო ბეგარისა ადგენს სიას იმ ახალგაზდათა, რომელთაც კენჭი უნდა იყარონ 1898 წლის ოქტომბერში. ის ახალგაზდანი, რომელნიც დაბადებულან 1876 წლის 1 ოქტომბრიდგან 1877 წლის 1 ოქტომრამდე, ხოლო სიაში არ არიან აღნიშნულნი, მოვალენი არიან ეხლავე განუცხადონ სამხედრო ბეგარის საკრებულოს ეს ამბავი და აგრეთვე წარუდგინონ მეტრიკის მოწმობა (მარკა საჭირო არ არის), ხოლო ვინც სიაში ჩაწერილია, მაგრამ შეღავათი-კი აქვს, ვალდებულია ამ წლის პირველ მარტამდე წარუდგინოს საკრებულოს მოწმობა პოლიცმეისტერისაგან, სადაც აღნიშნული იქმნება, რა მიზეზით ეძლევა შეღავათი. ვინც სიაში არის ჩაწერილი და სასწავლებელში სწავლობს, მან უნდა წარუდგინოს მოწმობა, სასწავლებლისა და გარდა ამისა განაცხადოს, ჰსურს თუ არა კენჭი იყაროს, თუ თავის ნებით გავა ჯარში.

⁂ გუშინ ჩვენ ნათქვამი გვქონდა, რომ ტფილისის გუბერნატორმა სოფ. შაქრიანში საგანგებო საქმეთა მოხელე გაგზავნა გლეხების საქმეთა სახელმწიფო მიწების შესახებ გამოსაძიებლად. „კავკასის“ სიტყვით, გაგზავნილ იქმნა გუბერნატორის საგანგებო საქმეთა მოხელე თავ. გურამიშვილი.

⁂ რადგან ოზურგეთისა და ლეჩხუმის მაზრებში ძლიერაა მოდებული ფილოქსერა, ამიტომ კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა ნება და-

## ფელეტონი

### ყაზბეგის მწვერვალი *)

(ა. პასტუხოვისა)

1889 წ. სამსახურის გამო მე მომიხდა ყაზბეგის მთის მიდამოებში მთელის ზაფხულის გატარება. 27 ივლისს ხუთის ყაზახით მივედი ცხელ წყაროებთან, რომლებიც მომდინარობს მთელ კავკასიაში ერთ უდიდესს საყინულეს ბოლოში—„მაილთან“. იმავე დღეს, ნაშუადღევის 3 საათზედ, შევუდექი მწვერვალზედ ასვლას და თან გავიყოლე ორი ყაზახი: ლაპკინი, პოტაპოვი და ერთი ოსი—თეფსარკო ცარახოვი. ჩვენი გზა იწყებოდა ყინულით და რომ ფეხი შეგვემაგრებინა ყინულზედ, რკინის „წრიაპები“ გავიკეთეთ და ხელში დავიჭირეთ ჯოხები, რომლებსაც ბოლოებზე გამწვეტებული ფოლადი ჰქონდა გაკეთებული. საგზალი ორი დღისა წავიღეთ, რადგანაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენი მგზავრობა ორ დღეზედ მეტს არ გასტანდა.

ცა მოკრიალებული იყო და მზე ძლიერ ადნობდა ყინულს. ვიარეთ ყინულზედ ჩრდილოეთიდგან სამხრეთისაკენ ერთ ვერს ნახევარი. ამ მანძილზედ გვხვდებოდა ღრმა ხრამები, ზოგზედ ვხტებოდით და ზოგში, რომლებიც განიერი იყო, შიგ ჩავდიოდით, ხრამის ძირს გავივლიდით და მერე ისევ მაღლა ამოვიდოდით ხოლმე. $1^1/_2$ ვერსი რომ გავიარეთ, აღმოსავლეთისაკენ შევუხვიეთ. დაგვიხვდა წინ ახლად ჩამოსულ თოვლის ზვავი. ზვავზედ გადავიარეთ და შუა ადგილს რო მივატანეთ, ფეხი ჩამივარდა უფსკრულში და გრძელი ჯოხი რომ არა მჭეროდა ხელში, სიცოცხლეს უნდა გამოვთხოვებოდი. ჩემს უკან მოდიოდა ოსი, რომელიც მარცხნივ წავიდა, მაგრამ კინაღამ ისიც დაიღუპა. განსაცდელს რომ ავცდენოდით, გამოვედით ტინებისაკენ და განვაგრძეთ ტინებ-ღორღებზედ მგზავრობა. ზოგან გვხვდებოდა სწორედ ჩამოსხეპილი კლდეები, რომლებსაც გარს მოვუვლიდით ხოლმე. საღამოს 6 საათზედ მივადექით ერთს კლდეს, რომელიც წარმოადგენდა უშიშარ ადგილს ღამის გასატარებლად. გადავწყვიტე ღამე აქ გაგვეტარებინა. ვერც-კი მოვასწარით დაბინავება, რომ უცებ ამოვარდა ქარი და ერთის წუთის განმავლობაში ნისლმა დაჰფარა დიდებული სურათი თოვლიანის მთებისა. დაბინდებას ჩვენ აღარ დავუცადეთ და მაშინვე დავწექით დასაძინებლად. საღამოს 6 საათზედ ტერმომეტრი აღნიშნავდა $3,_5$ სითბოს. ღამე რომ გავიღვიძე, შევამჩნიე, რომ ნისლი ძირს ჩამოშვებულიყო და შეკუმშულიყო; იმედი მომეცა, რომ მეორე დღე კარგი გაგვითენდებოდა, და ეს იმედი გამიმართლდა კიდეც.

დილის $5^1/_2$ საათზედ ტერმომეტრი აღნიშნავდა—$0,_5$ (რ.) სიცივეს და ქვები სულ შეჭირხლული იყო თოვლით. ჩვენ აქ დავტოვეთ ნაბდები, ცოტაოდენი საგზალი და გავემგზავრენით ზევით. გაყინულს ქვებზე ძლიერ გვიძნელდებოდა სიარული. რამოდენიმე მანძილი რომ გავიარეთ, წინ დაგვიხვდა მაგარი ყინული და რომ ზედ ავეარნა, 200 საფეხური ამოვჭერით. მერე ისევ ტინებზედ გამოვედით და ბოლოს ისევ ყინული დაგვიხვდა, სადაც 116 საფეხური ამოვჭერით. შემდეგ კლდიანზედ გავედით. დილის 10 ს. ვისაუზმეთ და საუზმის შემდეგ მგზავრობა განვაგრძეთ. ასი საჟენი გავიარეთ თუ არა, ერთმა ჩემმა ყაზახთაგანმა—პატაპოვმა გულის რევა იგრძნო, რის გამოც იძულებული ვიყავი იქვე მიმეტოვებინა. იმასთანვე დავტოვეთ ცოტაოდენი საგზალი, მომეტებული ტანსაცმელი და სუბუქად განვაგრძეთ გზა.

12 საათზედ მივახწიეთ თოვლიან მინდორს, რომელიც იწყება 13,664 ფუტის სიმაღლეზედ და რომელიც შეიცავს 6 ჩორსო ვერსს. თოვლიანს ვაკეზე სწრაფად წავედით, თუმცა გამლხვალი თოვლი ფეხს არ იმაგრებდა და მუხლებამდის ისე ვჭყაპავდით, როგორც წყალში. წყურვილი გვაწუხებდა; თუმცა ყინულს ყლაპვა დაუწყეთ, მაგრამ წყალის წყურვილს სრულიად არ გვიკლავდა, უფრო გვიმატებდა. ცოტა შევიცადეთ დასასვენებლად. უცებ წყაროს ჩხრიალი შემომესმა. მაშინვე წავედი იქითკენ, საიდგანაც მოისმოდა ჩხრიალი. სულ არ გამივლია ათი ნაბიჯი, რომ უცებ ჩემს ფეხებს ქვეშ მოირღვა თოვლი და ხელში რომ გრძელი ჯოხი არა მჭეროდა, ძნელი იყო ჩემი გადარჩენა; რაც ძალი და ღონე მქონდა ამოვხტი და უკან გავიქეცი. როდესაც უკან მივიხედე, დავინახე, რომ თოვლი საშინელის სისწრაფით ჩადიოდა მორღვეულს ადგილში და ეს მორღვეული თანდათან განიერდებოდა. ორის წუთის შემდეგ დავინახე უძირო უფსკრული, რომელმაც ძალა-უნებურად მიიზიდა ჩემი ყურადღება; მაგრამ წყლის წყურვილმა ჩქარა გამომარკვია, დავუწყე ისევ წყაროს ძებნა. ჩვენდა სამწუხაროდ, ბოლოს დავრწმუნდი, რომ ჩხრიალი, წყაროს-კი არა, არამედ წვრილ ყინულებს გაჰქონდათ, რომლებიც ნიავისაგან თოვლზედ დასრიალობდნენ. რაკი დავრწმუნდი, რომ წყალი არსად იყო, გავუდექით გზას.

ნახევარის საათის უკან გულის რევა ვიგრძენი და როდესაც ეს ჩემს თანამოგზაურებს შევჩივლე, გავიგე, რომ ისინიც ამავე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ყველა ამას დაერთო ახალი უბედურება: შევამჩნიე, რომ სამხრეთიდგან ნისლი დაიძრა, რომელიც ხან მთის წვერს ეკვროდა, ხან უკან იწევდა, თითქოს სცდილობდა მწვერვალზედ გადახტომას; ბოლოს უცებ შეიძრა, ავიდა მაღლა და იქიდგან მოეფინა მთის არე-მარეს. ნისლი იქამდე ძლიერი იყო, რომ ათის ნაბიჯის მანძილზედ არა სჩანდა რა და ისეთი სუსხიანი, რომ ტანისამოსი დათრთვილა. გულის რევა უფრო მომემატა და ბო-

*) 1889 წ. ცნობილი ტოპოგრაფი ა. პასტუხოვი ავიდა ყაზბეგის მწვერვალზედ. ანგარიში თავისის მოგზაურობის შესახებ მან ვრცლად დაბეჭდა Въ „Извѣстяхъ географическаго общества“. იქიდგან მოკლედ გადმობეჭდილი იყო სხვა გაზეთებშიაც, საიდგანაც გადმოითარგმნა ეს წერილი. ეს უშიშარი მოგზაური ორჯელ იალბუზზედ ასულა და ერთხელ არარატის მთაზედ. მთის ქართველები—მოხევეები დღესაც დარწმუნებულები არიან, რომ ყაზბეგის წვერზედ ასვლა ყოვლად შეუძლებელიაო, და როგორც მახსოვს, ამ შვიდის წლის წინად ერთი განათლებული მოხევე გაზეთ „ივერია“-შიაც ამტკიცებდა ამავე აზრს. ვინც კიდევ თომასავით ურწმუნო იქნება, იმას ვურჩევთ წაიკითხოს პასტუხოვის ანგარიშის დედანი და დაუმტკიცოს იმას საბუთებით და არა ცალიერის სიტყვებით ყაზბეგის მწვერვალზედ ასვლის შეუძლებლობა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, დაარღვიოს ბ-ნ პასტუხოვის ნათქვამი.

ა. ყ.

რთო საქარის სანერგედგან მსურველთ აძლიონ ამერიკული ვაზი.

⁂ როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, ამას წინად შავს ზღვაზედ საშინელი ქარიშხალი იყო. გაზ. ,,чер. В.“ სიტყვით, ამ ქარიშხალის დროს ბევრი გემი დაშავდა და ბევრს მგზავრს ძალიან შეეშინდაო. სხვათა შორის „ცესარევიჩ გიორგის“ გემზედ მყოფ ერთ ახალგაზდა 25 წლის ქალს, რომელსაც ხელში ძუძუთა ბავში ეკავა, ისე შეჰშინებია, რომ გული წასვლია. ექიმები მიიწვიეს თურმე, მაგრამ მათაც ვერაფერი უშველეს. შემდეგ ქალი საავადმყოფოში გაჰგზავნეს, მაგრამ მაინც გონს ვერ მოვიდა და ხუთის დღის შემდეგ გარდაიცვალა. განსვენებულს არც ბარათი ვინაობისა და არც სხვა რამ საბუთის ქაღალდი არ აღმოსჩენია, ასე რომ დღესაც არ იციან ვინ იყო ის ქალიო. ძუძუთა ბავშვი შეივრდომა ექიმმა, რომელიც განსვენებულსა სწამლობდა თურმე.

⁂ გაზ. „კავკასის“ სიტყვით მთავრობამ არ შეიწყნარა ბორჩალოს მაზრის, თრიალეთის საბოქაულოს სხვა-და-სხვა სოფლის 50 კომლის შუამდგომლობა ყარსის ოლქში გარდასახლების შესახებ.

⁂ იმავე გაზეთის სიტყვით, ტფილისის მაზრის სოფ. ხაშმის გლეხს გიორგი ნახუცრიშვილს ნება მიეცა სოფ. ხაშმში ფასიანი წიგნთ-საცავი და სამკითხველო დააარსოს.

⁂ გაზ. „ახ. მიმ.“ განჯიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ დღეს, 28 იანვარს, ადგილობრივის საპატიმროს ეზოში ჩამოარჩობილ იქმნენ თავ. აბაშიძის მკვლელებიო.

⁂ ახალციხე. ახალციხის ძველ ნაწილში არის წმ. მარინეს ეკკლესია, სადაც აქაურ ქართველთა პატარა საზოგადოება ისმენს წირვალოცვას. აი, ამ ეკკლესიაში 11 იანვარს გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი დიდებულის მეფე ერეკლე II-ის სულის მოსახსენებლად. თითქმის ყველა ქართველობა დაესწრო, სომხებს გარდა. მწირველნი იყვნენ: ბლაღოჩინი დ. ხახუტაშვილი, მღვდელნი მ. ჟამუტაშვილი და ს. ჭუჭულაშვილი. ბლაღოჩინმა დ. ხახუტაშვილმა და მღვდელმა ს. ჭუჭულაშვილმა წარმოსთქვეს სიტყა. პირველმა დამსწრე საზოგადოებას დაუსურათა დიდებულის მეფის ერეკლეს მოღვაწეობა, გმირობა და კეთილი ზრუნვა არა მარტოოდენ თავისის სამეფოსათვის, არამედ სამცხესათვისაც, რომელიც იმ დროს მას არ ეკუთვნოდა. სიტყვა იმითი დაამთავრა, რომ მიჰმართა დამსწრეთ, კარგი იქნება, ცოტა რამ წვლილი გამოვიღოთ იმ ფონდისათვის, რომელიც დაარსებულია ერეკლეს სახელობაზედაო. მეორემ-კი გააცნო საზოგადოება, ვინ იყო გმირი მეფე ერეკლე. დიდის ყურადღებით ისმენდა ხალხი ამათ საგრძნობელ სიტყვებს. პანაშვიდის შემდეგ ოც-და-ხუთ მანეთამდე ფული შეგროვდა. ხელის მოწერა მალე დამთავრდება და შეგროვილი ფული გარდაეცემა დანიშნულებისამებრ.

⁂ დაბა ორპირი. მდინარე რიონმა ისე ჩამოაქცია ნაპირები, რომ იქ მცხოვრებლებს საცალფეხო გზაც აღარა აქვთ, არამც თუ საცხენო ან საურმე.—ჩვენკენ ძალიან გახშირდა ამ ბოლოს დროს სხვა-და-სხვა ავადმყოფობა. ეს-კი სწორედ დიდი უბედურებაა ჩვენთვის ამ უექიმობის და უფულობის დროს. ფული რომ იშოვნოს კაცმა, ექიმს ველარ იშოვნის, ან თუ ექიმს იშოვნის, იმდენს ფულს მოსთხოვს, რომ იმის მეოთხედიც არ ექმნება. ამ ერთის თვის განმავლობაში ჩვენს პატარა სოფელში რვა სული გარდაიცვალა. უგზოობამ ხომ სულ საქმე გაგვიჭირა. რამდენჯერ მივმართეთ ვისაც ჯერ არს, გზა გაგვიკეთეთო, მაგრამ ყურადღება არავინ მოგვაქცია. იმედია, სამტრედიის საბოქაულოს ახალი ბოქაული ეხლა მაინც ყურადღებას მიაქცევს ამ ჩვენს გაჭირვებას და დახმარებას აღმოგვიჩენს.

⁂ სად. განჯა. სამ წელიწადზედ მეტია, რაც აქ სამკითხველო-წიგნთ-საცავი დაარსდა რამდენიმე პატიოსან კაცთა თაოსნობისა და მეცადინეობის წყალობით. საუბედუროდ, სამკითხველოს დამაარსებელთა შორის ასტყდა შური, მტრობა, ქიშპობა და სამკითხველო დაიკეტა. ამ წლის პირველ იანვრიდგან ხელ-ახლად დაიწყო მოქმედება სამკითხველომ, მაგრამ ჯერ-ჯერობით საცოდავად მიღოღიალებს. სამკითხველოს მხოლოდ ის უშველის, თუ წევრობა ბევრმა მოისურვა და ჩაეწერა კიდეც. მერე ნეტა დიდი გარდასახადი მაინც იყოს, რომ იმან დააფრთხოს ხალხი, წლიურად—2 მან. 40 კაპ. და თვიურად—20 კაპ. იმედია, არავინ დაიზარებს ასე მცირედის ფასის გარდახდას და განჯის ქართველობის მომეტებული ნაწილი ამ სამკითხველოს წევრობას მოისურვებს.

⁂ ქ. ქუთაისი. კვირას, 25 იანვარს, აკურთხეს სასაფლაოს სამრევლო სასწავლებლის შენობა, რომელიც მღ. ვასილ ღოღობერიძის თაოსნობითა და მეცადინეობით იქმნა აგებული. ამ დღეს მწირველი იყო ალავერდის ეპისკოპოსი ბესარიონი, დეკანოზის გ. ცაგარეიშვილისა, ი. კიკიჩეიშვილისა, საეპარქიო სამრევლო სასწავლებლების მეთვალ-ყურის მღ. მ. კელენჯერიძისა და ადგილობრივის კრებულის თანამწირველობით. წირვასა და სასწავლებლის დარბაზის კურთხევას აუარებელი ხალხი დაესწრო.

⁂ დ. ახალ-სენაკი. 27 იანვარს სამაზრო მმართველობას ოფიციალური ქაღალდი მოუვიდა, რომლითაც მმართველობას ატყობინებდნენ, რომ სახელმწიფო საკრედიტო ქაღალდების მჭრელმა ექსპედიციამ განიხილა რა ის სამ-მანეთიანები, რომლებიც ადგილობრივმა ხაზინამ დაიწუნა და არ მიიღო, კარგ ფულად იცნოო. მთელი მაზრა ყალხზედ შეაყენა ამ სამწუხარო შეცდომამ, სახელმწიფო გარდასახადის შემკრებლები ხაზინიდგან დაძმარებულნი და დაღონებულნი ბრუნდებოდნენ უკან. არ იცოდნენ, რა ექმნათ და ვისთვის მიემართნათ ამ გაჭირვების ასაცილებლად. ბევრი გლეხკაცი დაიღუპა, რადგან სამ მანეთიანებს 90-80 კაპ. აძლევდნენ სიხარულით და ვაჭარ-ჩარჩებიც ჰსარგებლობდნენ ამ გარემოებით (,,ახ. მიმ.“)

⁂ 2 თებერვალს ქართულს თავად-აზნაურთა თეატრში, ქართველის არტისტის კ. ნ. შათირიშვილის მონაწილეობით სცენის მოყვარეთა მიერ გამართულ იქმნება რუსულს ენაზედ სახალხო წარმოდგენა. ითამაშებენ ა. ნ. ოსტროვსკის კომედიას: „Бѣдность не порокъ“. ადგილების ფასი ორჯელ იაფი იქმნება, ვიდრე დრამატიულ წარმოდგენების დროს არის ხოლმე, ლოჟები, მაგ., 3 მან. 30 კ. ეღირება, გალერეია 10 კაპ., პარტერის ადგილები 30 კ. იქმნება. დასაწყისი 8 საათზედ.

⁂ 28 იანვარს, მე-6 ნაწილში, ტფილისის მოქალაქის დავით მირზოევის ჩაიხანაში უეცრად გარდაიცვალა ოსმალეთის ქვეშევრდომი პეტროსიანი 45 წლისა. მიცვალებულის გვამი მიხეილის საანატომიო თეატრში იქმნა გაგზავნილი.

⁂ 28 იანვარს ღამის $1^1/_2$ საათზედ, I ხევის ქუჩაზედ პოლიციამ იპოვა ახლად-დაბადებული მიგდებული ბავშვი, რომელიც მაშინვე საბებიო ინსტიტუტში იქმნა გაგზავნილი.

⁂ 3 თებერვალს ტფილისის სახელმწიფო თეატრში საოპერო წარმოდგენა იქმნება გამართული ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ. დადგმული იქმნება ოპერა „კარმენი“; მონაწილეობას მიიღებენ საოპერო დასის საუკეთესო არტისტნი: ქ-ნნი სიუნერბერგი და პაპაიანი და ბ-ნნი კამიონსკი და პერესი. მსურველთ ბილეთები პირველ თებერვლამდე შეუძლიანთ შეიძინონ ა. ფ. მილიუტინსა და ა. ს. ფრენკელთან, ხოლო პირველ თებერვლიდგან თეატრის კასსაში გაიყიდება.

⁂ ახალქალაქი. 16 იანვარს დაიწყო საშინელი თოვა და ბუქი და სამს დღეს გასტანა. თითქმის სრულიად შესწყდა სოფლებსა და ქალაქ შორის მოძრაობა. 25 იანვრიდგან-კი ნამდვილი გაზაფხული დაგვიდგა.

## წერილი აფხაზეთიდგან

22 იანვარი

მთელი აფხაზეთი, ანუ სოხუმის ოლქი უექიმობით ძალიან შეწუხებულია. მთელი ეს ნაწილი ქუთაისის გუბერნიისა (სოხუმის ოლქში ასი ათასს სულზედ მეტი მცხოვრებია) ავადმყოფობა-გაჭირვების დროს იძულებულია თავი ატყუებინოს მატყუარა და უვიც დედაკაცებს, მკითხავებს და მათდა სასარგებლოდ უკანასკნელი, ოფლით ნაშოვნი „ფარა“ გამოიღოს. ამ მკითხავ-ექიმ დედაკაცების გარდა, აქ დიდს „მოლაშია“ სათათრეთიდგან ლუკმა პურის საძებრად გადმოხვეწნილი ვითომ-და „მოლები“, რომელნიც, სარგებლობენ რა ხალხის უცოდინარობითა და განუვითარებლობით, ტყავს აძრობენ „რაღაცა“ ქაღალდების ნაგლეჯუკებში: მოლები არწმუნებენ აფხაზთ, განურჩევლად სარწმუნოებისა, რომ ჩვენის ფაჰამბერის „მოჰამედის“ სიტყვები ყოველ სნეულების უებარი წამალიაო და სხ. აქ ერთს სნეულს კაცს ველარა ჰნახავ, რომ ამათის „აშუთი“ (წიგნით) გულ-მკერდი არა ჰქონდეს დამშვენებული. მერე ეს უსირცხვილო მოტყუება რა ფასად უჯდებათ! სწორედ, რომ უექიმობით ჯოჯოხეთის ტანჯვაშია აფხაზები!

ლოს ისე გამიჭირდა, რომ იძულებული ვიყავი შევჩერებულიყავ; წამოვწექი თოვლზედ და ჩქარა დამეძინა. ნახევარის საათის შემდეგ სიცივისაგან გამოვიღვიძე; თუმცა გულის ზიდილი არ დამიდგა, მაგრამ ჩემს თავს ძალა დავატანე და გავუდექი გზას.

ბევრი აღარ გვივლია; რადგანაც საათის ოთხის ნახევარი იყო, გადავწყვიტე, აქვე ახლო სადმე მეპოვნა უშიშარი ადგილი ღამის გასატარებლად. 13,664 ფუტის სიმაღლეზედ ჩვენ ვიპოვნეთ პატარა ტახტის ტოლა ვაკე ადგილი, სადაც თოვლი არ იყო, და გადავწყვიტე, აქ გამეტარებინა ღამე. ყაზახი ძირს ჩავგზავნე, რომ ჩვენი დარჩენილი მგზავრი წამოეყვანა და თან დატოვებული ბარგიც ამოეტანა. ვიდრე ისინი ამოვიდოდნენ მე და ოსმა „მოვაშანდაკეთ“ (გავასუფთავეთ) ჩვენი ბინა, გავწმინდეთ ქვებისაგან და გარშემო ქვის კედელი გავუკეთეთ ერთის არშინის სიმაღლეზე, რომ მყუდროთ ვყოფილიყავით და ცოტა ქარისაგან მაინც დაგვეფარა თავი. საქმის შესრულების შემდეგ ნაპირზედ მივდექი, საიდგანაც კარგად სჩანდა ის ადგილი, სადაც ყაზახი დავტოვეთ. სწორედ ამ დროს ის იყო მივიდა ჩვენი გაგზავნილი კაცი. პატარა ხანს უკან ისინი აღმოემართნენ ჩვენკენ. ერთმა ყვირილი დაიწყო და როდესაც გავეხმაურე, შემომძახა: „პური ორის ლუკმის მეტი აღარ არის“...

წამოვიდე თუ არა!! ვანიშნე, რომ ამოსულიყო. როდესაც ამოვიდა, გამომიცხადა, რომ ყაზახს პოტაპოვს არ შეუძლიან ამოსვლა, რადგანაც გულის ზიდილი აწუხებს და ამიტომ უკან დაბრუნებასა თხოულობსო. ამასთანავე გვაჩვენა საგზლის ნარჩენი, რომელიც ნახევარი „ბულკის“ მეტი არა იყო-რა.

პოტაპოვს ნება დავრთე უკან დაბრუნებისა. დაბინდებას აღარ დავუცადეთ და მაშინვე დავწექით დასაძინებლად. რადგანაც ძლიერ დაღალულები ვიყავით, მაშინვე დაგვეძინა. მაგრამ დიდხანს არა გვძინებია. დაბინდებას თან მოჰყვა სიცივე. როდესაც გამომეღვიძა, ნისლი სულ გამქრალიყო, ძირს ჩასულიყო და ზევიდგან მოკრიალებული, ვარსკვლავებით მოჭედილი დაგვყურებდა ცა. სიჩუმე იყო შეურყეველი, მხოლოდ ხან და ხან ამ სიჩუმეს არღვევდა ყინულის საშინელი „ტყრომა“. სიცივემ ისე შეგვაწუხა, რომ ავდექით და ჩქარ-ჩქარა სირბილი დავიწყეთ, ვიდრე გავთბებოდით. მერე ისევ დავწექით. ჩემს თანამგზავრებს გამოუუცხადე, რომ შუაში რიგ-რიგით დავწოლილიყავით. რომელიც შუაში წვებოდა, ის მაშინვე იძინებდა, რადგანაც შუაში თბილოდა; მაგრამ ნაპირზე მწოლიარენი დიდხანს ვერა სძლებდნენ და იძულებულნი იყვნენ ხოლმე ამდგარიყვნენ და რბენა დაეწყოთ. მერე ისევ ვიძინებდით და სიცივე ისევ აგვშლიდა ხოლმე. მთელი ღამე ამ ყოფაში გავატარეთ. სიცივემ თანდათან უფრო იმატა. გათენების ხანს ტერმომეტრი აღნიშნავდა—$9^1/_2{}^0$ სიცივეს. ჩვენი ტანისამოსი თოვლით შეიჭირხლა. ისე დავშეშდით სიცივისაგან, რომ სიარულის თავი აღარა გვქონდა. უკანასკნელი ღონე მოვიკრიფეთ და გაველით იმ გორაკაზედ, სადაც მზემ პირველად თავის სხივები მიანათა. აქ მყუდროზედ ორ საათამდის მზეზედ ვთბებოდით და როცა გავთბით, მაშინვე შევუდექით გზას.

წყლის წყურვილმა ისევ მალე შეგვაწუხა და ჩვეულებრივად ყინულს ვყლაპავდით. საბედნიეროდ, გულზიდილი არავის მოგვსვლია. ნისლის გამო წინა დღეს ძლიერ წავსულიყავით სამხრეთისაკენ და მივადექით ძირს ყაზბეგის დასავლეთის სიმაღლისას. ეხლა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გავწიეთ და როდესაც მივახწიეთ იქ, სადაც ორის სიმაღლის ძირი ერთდება, აღმოსავლეთისაკენ შეუხვიეთ და ორისავე მწვერვალის უღელტეხილისაკენ ავდიოდით. ისეთი ალმაცერი იყო ჩვენი გზა, რომ საფეხურებს ვიკეთებდით და ისე ავდიოდით მაღლა; ზოგან თოვლი სახლივით წამოფარებული გვხვდებოდა და ირგვლივ ვუვლიდით. წყლის წყურვილი თანდათან გვემატებოდა. გარდა ამისა, ყაზახს ლაპკინს თავს ბრუ დაეხვია, ოსს ცარახოვს-კი ცხვირიდგან სისხლი წავარდა ძლივს შევწყვიტეთ. ოსს აღარ უნდოდა ჩვენთან წამოსვლა და მეც ვურჩიე უკან დაბრუნებულიყო. მე და ყაზახი-ღა ავდიოდით ზევით.

ოც-და-ათი საჟენი რომ ავიარე, უკან მივიხედე და ძლიერ გამიკვირდა, რომ ოსი, დაბრუნების ნაცვლად, ჩვენს უკან მობობღავდა. აღმართი თანდათან ძნელი ასასვლელი ხდებოდა. მე აღშფოთებით დავუწყე ყურება ყაზახს, რომელიც უფრო და უფრო ცუდად ჰგრძნობდა თავს. გარდა იმისა, რომ თავი ურატრატებდა ზედ კიდევ საშინელი ციება დაემატა კბილზედ-კბილს აცემინებდა. ბოლოს შესდგა და გამომიცხადა: „ამას ზევით წამოსვლა აღარ შემიძლიან, თვალთ მიბნელდება და აღარც მუხლი მიჭრისო“. დავრთე ნება წასვლისა და როდესაც უკან გაბრუნდა, დავუწყე ყურება, ვიდრე სამშვიდობო ადგილამდის მიაღწევდა. მე და ოსმა-კი განვაგრძეთ გზა და ბევრის წვალების შემდეგ $12^1/_2$ საათზე მივახწიეთ ქედის შუა ადგილს, რომელიც იწყება დასავლეთის სიმაღლიდგან უღელტეხილისაკენ. უღელტეხილზედ დავისვენეთ.

ეს უღელტეხილი წარმოადგენს ვაკე ადგილს სიგძით 30 საჟენს და სიგანით 50 საჟენს. აქ ოსს კიდევ წასქდა ცხვირიდგან სისხლი, რომელიც ძლივს შევწყვიტე. მშვენიერი გადმოსახედი იყო აქედგან და სიამოვნებითაც დავიწყე ცქერა. სიჩუმე ჰსუფევდა.... არაფერი არ მოგაგონებდათ აქ სიცოცხლეს, თითქოს დედამიწასაც, რამდენადაც-კი სჩანდა იგი, სული ამოჰხდომიაო. უეცრად შევნიშნეთ, რომ ჩვენ ზევით მიფრინავდა წითელი პეპელა. ეს ისე ძლიერ გამიკვირდა, რომ ჩემს თვალებს არ ვუჯერებდი. პეპელა ხან მაღლა მიფრინავდა, ხან ძირს ეშვებოდა. ხუთის წუთის შემდეგ კიდევ გამოჩნდა იმავე გზით მომფრინავი მეორე პეპელა და შემდეგ მესამე. ორის საათის ნახევარი ($1^1/_2$ ს.) იყო, რომ მივადექით აღმოსავლეთის მყინვარს, რომელიც ჩვენ ზევით სწორე კედელივით იყო აღმართული. ოსმა უარი განაცხადა, ამ სწორე კედელივით კლდეზედ ასვლა ყოვლად შეუძლებელიაო. ვუთხარი უღელტეხილზედ მოეცადნა და მე-კი საფეხურების ჭრა დავიწყე და ნელნელა ზევით ავდიოდი. ათის საფეხურის გაკეთებაც ვერ მოვასწარი, რომ ოსი ისევ უკან გამომიდგა. ისევ ორივემ განვაგრძეთ გზა, რომელიც გაყინულს თოვლზედ მიდიოდა. მერე გამოვედით ტინებისაკენ, ტინებიდგან ისევ თოვლზედ გავედით, აქ ცოტა შევისვენეთ და შემდეგ მაღლა ასვლას შევუდექით. 4 საათი იქნებოდა, რომ მივაღწიეთ ყველაზედ უმაღლესს წერტილს ყაზბეგისას.

(დასასრული იქნება)

გული გიწუხთ, სული გიშფოთავსთ, სასოებას ბედნიერის მომავლისას ჰკარგავთ, როცა აფხაზეთის უდაბურ-ულრან ტყეში წყლის პირად ამისთანა სურათს წააწყდებით: ას წლოვან ხეების ჩრდილში მოდუდუნე მთის ღელეს ნაპირზედ შეგროვილა საკმაოდ ბლომა ხალხი, უფროსებითი მამაკაცნი, და დიდის სასოებით თავისს სალოცავს მსხვერპლს სწირავენ, რომ ამით მისი განრისხებული გული მოისყიდონ და შეაბრალონ ლოგინად დავრდომილი, აქავე ცივს მიწაზედ მწოლიარე აფხაზი, რომელიც უვიც მკითხავებისა და მაწანწალა მოლების შთაგონებით ვითომ იმიტომ გახდა ავად, რომ თავისს სალოცავს ჯეროვნად პატივი ვეღარა სცაო. რასაკვირველია, ეს უმსგავსო მსხვერპლის შეწირვა საწყალს ავადმყოფს უმოკლებს უკანასკნელ დღეებს და სიცოცხლეს უსწრაფებს!

ხალხის უვიცობით სარგებლობენ მატყუარა მკითხავები და მოლები და საცოდავს ხალხს ცხვრებსავით ჰკრეჭენ. განუვითარებელი, უსწავლელი ხალხიც იმათ გარდა სხვაგან ხსნასა და შველას ვეღარ ჰპოვებს და ზღაპრებით იტყუებს თავს; ექიმი არა ჰყავთ და ფერშალი, გონიერი ქირისუფალი, სწავლა-ცოდნის მადლით დაჯილდოვებული, არა მოეპოვებათ. რა ჰქმნან?

მთელს ოლქში ერთად-ერთი ეგრედ წოდებული სასოფლო ექიმია და ორი თუ სამი ფერშალი. განა შეუძლიანთ ამათ რამე დახმარება აღმოუჩინონ ამოდენა საზოგადოებას ავადმყოფობაში, გულით რომ უნდოდეთ მაინც? არა და არა! ამას ექიმ-ფერშლების უგულობა - ზარმაცობაც დაუმატეთ და მაშინ წარმოიდგენთ სრულს სურათს ჩვენის უმწეობისას. ეს ექიმიც ორი-სამი წელიწადია, რაც დანიშნულია სოფელ წყაბას (დრანდის) „სასოფლო სასნეულო“-ში. სამწუხაროდ, როგორც ექიმი, აგრეთვე სასნეულოს ფერშლები თითქმის არავითარს ყურადღებას არ აქცევენ თავიანთ მოვალეობას: ექიმი ორ თვეში ერთხელ თუ ეჩვენება ავადმყოფთ დრანდაში, თორემ მეტს არა! იმისთვის ქალაქი სოხუმი სჯობნებია დრანდას! ფერშლები? ერთი ბახუსის ზედგავლენით ავადმყოფთ მტკივან კბილის წილ საღს კბილებს აშორებს და მეორე... ამას დავანებოთ თავი. ვიტყვი მხოლოდ, რომ ერთმა ქვრივმა, სოფელ ბაბუშერას მცხოვრებმა, კ—მ, სადაც ჯერ არს თხოვნა მისცა, დამიხსენით მისი სიხარბისაგანო.

აქ არ შემიძლიან არ მოვიყვანო შემდეგი მაგალითი: შარშან გაზაფხულზე სოფელ დურიფში ოთხი ოჯახი თირკილებისა ამოწყდა სახადის მაგვარ გადამდებ ავადმყოფობით და არავის-კი აზრად არ მოსვლია იმათი დახმარება! ეხლა გუდაუთას ნაწილში ყვავილია გავრცელებული და იმისს წინააღმდეგ არაფერი ღონისძიებაა ხმარებული.

წრეულს შემოდგომაზედ გალმა კალდახვარაში გაჩნდა რალაც ავადმყოფობა და ბევრიც იმსხვერპლა. მართალია, გვიან მოვიდა ექიმი, მაგრამ იმათთვის მაინც არაფერი შეწეობა მიუცია, „მალიარიააო“ და თავი გაიქნია, უბრალო ქინაქინაც არ გამოუწერია.

უფასოდ დახმარებას ექიმისას ვინ სჩივის, რომ ვინც შესძლებს ფეხის ქირა გარდაუხადოს ექიმს, იმათ მაინც აძლევდნენ შემწეობას. მაგალითად, ამას წინედ დაბა გუდაუთაში ერთს მდიდარს ვაჭარს ძმა გაუხდა ავად, მაშინვე დეპეშა გაუგზავნა სოფლის ექიმს არ—ცინს, რომელსაც თავისს მოვალეობად არც-კი უცვნია, რომ ეპასუხა „ვერ მოვალო“. იმისს მოლოდინში სხვა ექიმი ვერ გამოიწვერეს, და საწყალი ავადმყოფი საუკუნოდ გამოეთხოვა წუთი-სოფელს. ამისთანა მაგალითი ბევრია, რომელი ერთი ჩამოვთვალოთ!

დროა, ვგონებ სვენს გაჭირვებულს მდგომარეობას ამ მხრივ ყურადღება მიექცეს.

ჰამუთ-ბეი

# რუსეთი

—

რუსეთის რკინის გზების წარმომადგენელთა კრებამ დაადგინა რკინის გზების საგანგებო რუქა გამოსცეს, რადგან ამ უკანასკნელს დროს ახალი რკინის გზის ლიანდაგების რიცხვმა ძლიერ იმატა. ახალ რუქაში ყოველგვარი ცვლილება იქმნება აღნიშნული რკინის გზების მიმართულებისა ამ წლის 1 მაისამდის.

— განზრახვა აქვთ იმ მცენარეულობის მთავარი საწყობი დააარსონ, რომელიც რუსეთში მოჰყავთ და რომელთაგანაც სამკურნალო წამლების დამზადება შეიძლება.

— შუამდგომლობაა აღძრული იმის შესახებ, რომ მიმდინარე წელს მთელის რუსეთის მონადირეთა კრება იქმნას გამართული პეტერბურგსა, ან მოსკოვშიო.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ კარგი იქმნება ყოველ გუბერნიაში სასოფლო-სამეურნეო ნაწილის რწმუნებულის თანამდებობა იქმნას დაარსებული.

— მთლად რუსეთის რკინის გზებზედ 166,241 ვაგონი მუშაობს, სხვათა შორის, 128,266 თავ-დახურული და 29,560 თავ-ღია.

# უცხოეთი

—

**ავსტრია.** ავსტრიის უნივერსიტეტებში არეულობა ჯერაც არ დაწყნარებულა. ვენის უნივერსიტეტის ნემეცთა სტუდენტებმა მოსთხოვეს პროფესორებს, ლექციების კითხვას თავი გაანებეთ. ამასთან ისეთი ყვირილი და აურზაური ასტეხეს, რომ პროფესორები იძულებული გახდნენ დარბაზებიდგან გასულიყვნენ. ანატომი ცუკერკანდი კარებ ჩაკეტილ აუდიტორიაში კითხულობდა ლექციას, მაგრამ ნემეცთა სტუდენტებმა კარები ჩაამტვრიეს და ჯოხების სროლა დაუწყეს პროფესორს. პროფესორ იაგიჩს ლექციის კითხვა არ დაასრულებინეს: „შორს იაგიჩი“ ჰყვიროდნენ სტუდენტები. შუადღისას უნივერსიტეტის საზოგადო დარბაზში ნემენცებმა ჩეხებს ლანძღვა-გინება დაუწყეს და ჩამოგლიჯეს განცხადება ჩეხურს ენაზედ დაწერილი. ამის გამო ნემენცთა და ჩეხთა შორის ჩხუბი გამართა, რომლის დროს ბევრმა დანებიც-კი ამოიღო. არეულობა იმდენად გაძლიერდა, რომ რექტორმა განცხადება გამოაკრა უნივერსიტეტის დროებით დახურვის და ზოგიერთ სტუდენტების პასუხის გებაში მიცემის შესახებ. ასეთი არეულობები ვენის პოლიტეხნიკუმშიაც მოხდა. პრაგისა და გრაცის უმაღლესს სასწავლებელში სტუდენტები სულაც აღარ დაიარებიან ლექციებზედ. პრიუნის უნივერსიტეტის სტუდენტებმა პროფესორებს ლექციების კითხვის ნება აღარ მისცეს.

—

**საფრანგეთი.** როგორც დეპეშამ მოიტანა ამბავი, სენის ასიზთა სასამართლომ უკვე დაიწყო ზოლას საქმის გარჩევა. ნაფიც მსაჯულებათ არჩეულ იქმნა 40 ნაფიცი კაცი, მათ შორის 19 ვაჭარია, 4 მეტრაქტირე, 3 რანტიე, 2 სახლის პატრონი, 2 მეკვარდრე, 2 ხუროთ-მოძღვარი, 1 ინჟინერი, 1 სტამბის პატრონი, 1 კერძო საზოგადოებაში მოსამსახურე, ერთი ექიმი, ერთი დამზღვევ საზოგადოების დირექტორი, 1 ბანკის ინსპექტორი, 1 ნოტარიუსი და 1ორგანისტი.

—

**კრიტი.** გაზ. „Daily Telegraph“-ი ამბობს, რომ კრიტის საქმე უკვე გადასწყდაო და გენერალ-გუბერნატორად უეჭველად საბერძნეთის პრინცი გიორგი იქმნება დანიშნულიო. ოსმალეთი თუმცა დიდს უარზედ იდგა, მაგრამ რუსეთის, საფრანგეთის და გერმანიის წინააღმდეგ ვეღარ წავიდა და დათანხმდა იმათ სურვილსაო. თვით გერმანია უკანასკნელ დრომდე წინააღმდეგი იყო პრინცის გიორგისა, მაგრამ ბოლოს მაინც დარწმუნდა, რომ კრიტის საქმის მოწყობა მხოლოდ ამ გზით შეიძლებაო.

—

**ინგლისი.** ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ მანქანათა მკეთებელ ქარხნებში მომუშავეთ შეთქმულობა მოახდინეს და მუშაობა აღკვეთეს. ამ ამბავმა ქარხნის პატრონები ძალიან დააღონა და დააფიქრა. ეხლა, როგორც „Moniteur des int materiels“ იუწყება, ინგლისის მექარხნეებს აზრადა აქვთ ბელგიაში ახალი ქარხნები დააარსონ, რომ როდესაც ინგლისის ქარხნებში მომუშავენი ხელ ახლა შეთქმულებას მოახდენენ, ეოკელიკე შეკეთილი საქმე ამ ქარხნებში შეასრულონ. მექარხნეების წარმომადგენელთ კიდეც დაუთვალიერებიათ ბრიუსელის ახლომახლო ადგილები, სადაც შესაძლებელი იქნება ქარხნების დაარსება.

## სასამართლოს მატიანე

გორის ავაზაკთა ბრბოს საქმე

(დასასრული *)

იმავე წლის 28 მარტს, შუაღამის 12 საათზედ, ვილაც ბოროტ-განმზრახველები სოფ. ქვემო-ნიქოზის მემამულის თავ. ზ. ვ. ფავლენიშვილის სახლს დაეცნენ. ბოროტ-განმზრახველებმა, რიცხვით სამმა ყაბალახით თავ-პირ შეხვეულმა კაცმა, სამზარეულოს კარები შეამტვრიეს, შევარდნენ შიგ, დაიჭირეს თავ. ფავლენიშვილის მეეტლე ლონგურაშვილი და ცემა დაუწყეს, ამასთან ხანჯლით კისერსა და მარჯვენა ხელში დასჭრეს. შემდეგ ფული მოსთხოვეს, მაგრამ, რომ არაფერი აღმოაჩნდა, დაავლეს ხელი და აივანზედ გამოათრიეს. აივნიდგან წინა ოთახში გავიდნენ, იქიდგან სასადილო ოთახში, სადაც ფავლენიშვილის სიდედრს 80 წლის მოხუცს და მოახლე ქალს ეძინა. აქ ავაზაკები კნეინას მისცვივდნენ და ფულის თხოვნა დაუწყეს, მაგრამ როდესაც კნეინამა სთქვა, რომ ფული არა მაქვსო, წააქციეს და ცემა დაუწყეს. წააქციეს აგრეთვე მოახლე მარიამიც და იმასა და ლონგურაშვილს ხელ-ახლად ცემა დაუწყეს. ცემის დროს ოდნავ დასჭრეს ხანჯლით მარიამიც, რომელმაც გამწარებულმა წამოიძახა: „ნუ მომკლავთ, ყველაფერი ბუფეტშიაო“. ავაზაკები ბუფეტში შევარდნენ, მაგრამ იქაც ძვირფასი ვერაფერი იპოვნეს. ვიდრე ისინი ბუფეტში იყვნენ, მარიამმა და ლონგურაშვილმა იხელთეს დრო, გარედ გამოცვივდნენ და სოფლელებს შეატყობინეს რაც ფავლენიშვილის სახლში ამბავი ხდებოდა. ყვირილში გამოეღვიძა თავად ფავლენიშვილსაც, რომელსაც თავისს ცოლთან ერთად საწოლს ოთახში ეძინა. ფავლენიშვილი მიხვდა, რალაც კარგი ამბავი არ უნდა იყოსო, ფანჯრის თვალი გამოაღო და ყვირილი დაიწყო, „მიშველეთო!“ გაისმა თუ არა თავადის ხმა, ავაზაკები სასადილო ოთახიდგან წინა ოთახში გაცვივდნენ და იქიდგან ორნი ხანჯალ-ამოღებულნი საწოლ ოთახში შევარდნენ და თავადს ფული მოსთხოვეს. თავ. ფავლენიშვილმა უთხრა, რომ ოღონდ ნურავის ნუ მოჰკლავთ და ფულს მოგცემთო; შემდეგ 40 მანეთი ამოიღო ჯიბიდგან და ავაზაკებს გადასცა. მაგრამ ავაზაკებმა 40 მან. არ იკმარეს, კიდევ მოსთხოვეს ფული და ერთმა პრტყლად გადაარტყა ხელში ხანჯალი, კიდეც დასჭრა სამგან: ერთგან მარცხენა თეძოსა და ორგანაც მარჯვენა თეძოში. დასჭრეს აგრეთვე ხელის გულში თავ. ფავლენიშვილის მეუღლეც. შემდეგ ავაზაკებმა, დაინახეს რა კამოდის გასაღები, გააღეს კამოდი და ფულის ძებნა დაიწყეს. ყველა ქაღალდები და ნივთები ამოჰყარეს კამოდიდგან, მაგრამ ფული მაინც ვერ იპოვნეს, თუმცა ერთ უჯრაში ქისა იყო, რომელშიაც 450 მანეთი იდო.

შემდეგ საბრალმდებლო ოქმში დაწვრილებით აღწერილია რა გამამტყუნებელი საბუთები შეუკრებია გამომძიებელს. ნივთიერ საბუთს გარდა, ზოგიერთს ბრალდებულს თითონვე უღიარებია თავისი დანაშაული.

საბრალმდებლო ოქმის ძალით სამართალში მიცემულ იქმნენ გლეხნი: ბესარიონ პოის ძე თვაური, რაჟდენ გიორგის ძე თვაური, საბა მიხეილის ძე თედეშვილი, ანდრო სისიას ძე ზაგაშვილი, ვასილ სიმონის ძე მარგიშვილი, პავლე ანდრიას ძე გაგლოშვილი, სანდრო გიგოს ძე ჯიოშვილი, დათიკო ჯიბოს ძე ბოგაური და ფარნაოზ კუმსიას ძე ბოგაური, რომელთაც იმის ბრალი ედებათ, რომ ავაზაკთა დასი შეადგინეს და შემდეგ დანაშაულობანი ჩაიდინეს: საბა თედოშვილმა, ბესარიონ თვაურმა და ვასილ მარგიშვილმა 1897 წელს 26 მარტს გზაზედ გაძარცვეს სოფრონ მაისურაძე, წააქციეს, სცემეს, დასჭრეს, ნივთები და ფული წაართვეს და იმის მოკვლაც მოინდომეს; იგინივე რაჟდენ თვაურთან ერთად, 1897 წელს, 4 აპრილს, იმავე გზაზედ დაეცნენ ამირან, გიორგი და ვანო მაისურაძეებს და სანდრო გოგრიჭიანს, მოკვლას დაემუქრნენ, დასჭრეს ხანჯლით მარცხენა ყურში ამირან მაისურაძე და წაართვეს ფული და სხვადა-სხვა ნივთი, ამასთან განზრახ, რომ უფრო კარგად მოეხდინათ ავაზაკობა, რამდენჯერმე ესროლეს რევოლვერი გიორგი და ვანო მაისურაძეებს, თუმცა ააცდინეს და დასასრულ ისინივე, პავლე გეგლოშვილი, სანდრო ჯიოშვილი, დათიკო და ფარნაოზ ბოგაური და ანდრო ზაგაშვილი 1897 წ. 28 მარტს ძალად შეუვარდნენ სახლში თავ. ზაქარია ფავლენიშვილს, დასჭრეს თავადი და იმის მეუღლე და მოიტაცეს ფული და ნივთები.

*) იხ. „ივერია“ № 21.

# დამაკვირდი

—

სასიამოვნოა მორჩილება იმ უფლებისა, რომლის გონება ჩვენს გონებას იმორჩილებს.

გიოტე

* * *

ადამიანი ისე არაფრის მადლობელი არ არის, როგორც იმ მადლობისა, რომლისაც იმას უძღვნიან.

მარიამ ებნერ-ეშენბახი

* * *

მირი უოკლისა უკეთურებისაჲ არს ვეცხლის მოყუარებაჲ, რომელმან მკჳრის ბუნებაჲ კაცისაჲ და მისგან გამოკლეხან: ანგაჭარებანი ბოროტნი, სიმვანი არაწმიდანი, ბილწებანი კერპთ-მსახურებისანი, წამლებანი, მტერობანი, კდომანი, წყალებანი, შფოთებანი, ღირწობანი, მთვრალობანი, სიღოდანი, ცილობანი, ცილის-წამებანი და მსგავსნი ამათნი.

იოანნე ბოლნელი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ინგლისის განთქმულს მწერალს კიპლინგს დაუწერია ახალი მოთხრობა № 007. ეს მოთხრობა ისე ძვირად უყიდნია გამომცემელს, რომ ასეთი ფასი ჯერ არც ერთს ავტორს არ აუღია თავისს თხზულებაში. მოთხრობა დიდი არ არის, სულ 7,000 სიტყვისაგან შესდგება და 3000 მანათი-კი მიუცია გამომცემელს. ინგლისში კიპლინგს ამოდენა ფულს არ აძლევენ. ამ ავტორის თხზულებას უფრო ამერიკელები ეტანებიან, ყიდულობენ იმის ახალს მოთხრობებს და მერე თხზულების გამოცემის უფლებას ისევ ინგლისელებზე ჰყიდიან.

* * *

ამ ჟამად პარიჟსა და საფრანგეთის სხვა ქალაქებში პოლიციის მიერ ათს ქალსა აქვს ნება მიცემული ვაჟკაცის ტანთ-საცმელის ჩაცმისა. მათ შორის პარიჟში არის ერთი მხატვარი ქალი, ერთი სტამბის-პატრონის ქალი და რამდენიმე კიდევ სხვა, რომელთაც დაარწმუნეს პრეფექტი, ისეთს ხელობას ვადგევართ, რომ საჭიროა ვაჟ-კაცის ტანთ-საცმელი გვეცვასო. ამ ქალთა შორის არის ქ-ნი დელაფუა, სახელოვანი არქეოლოგი, რომელმაც იპოვნა დარიის ტაძრის ნანგრევები და ამისთვის ებოძა ორდენი საპატიო ლეგიონისა. ეს ქალი იმავე თერძს აკერვინებს ხოლმე ტანთ-საცმელს, რომელიც იმის ქმარს უკერავს.

* * *

ბერლინის სტატისტიკოსები ამტკიცებენ, რომ დედა-კაცები ევროპაში უფრო დიდ ხანსა სცოცხლობენ მამა-კაცებზეო. მაგალითად ,1000 მამა-კაცთა შორის 50 წლამდე მხოლოდ 443 სცოცხლობს; დედა-კაცთა შორის-კი 50 წლამდე 500 მეტი სცოცხლობს. გარდა ამისა 1000 დედაკაცთა შორის 60 წლამდე სცოცხლობს 426, 70 წლამდე—296, 80 წლამდე--227 და 90 წლამდე—13. მამაკაცთა შორის-კი 80 წლამდე სცოცხლობს მხოლოდ 60 და 90 წლამდე მხოლოდ 7.

* * *

ამას წინად ქალაქ ლაზანაში, პროფესორის შტილინგის მუზეიდგან მოუპარავთ

რამდენიმე თეთრი კურდღელი. მეორე დღესვე ადგილობრივ გაზეთებში შემდეგი განცხადება დაიბეჭდა: „ჩემის კურდღლების მომპარავთა საყურადღებოდ!.. ფრთხილად იყავით! მოპარული კურდღლები აცრილნი არიან მრავალგვარ გადამდების სენით და შხამით... გირჩევთ არა სჭამოთ მაგ კურდღლების ხორცი. გირჩევთ აგრედვე, სხვაგან სადმე იშოვოთ ხოლმე კურდღლები, რადგანაც სამკურნალოში ნამყოფ კურდღლის ხორცი საჭმელად არ გამოდგება.

* * *

გუშინ-წინ საუბარი გვქონდა ამერიკელ მილიონების პატრონთა შესახებ. რა თქმა უნდა, ამ მდიდარ კაცებს შეძლება შესწევთ თითქმის ყოველგვარი თვისი სურვილი აასრულონ ხოლმე, ხშირად ახირებული სურვილიც. ერთს ასეთს მდიდარს კაცს ასტორს თავისს მამულში გაუმართავს პატარა რკინის გზა, რომელიც არაფრით განირჩევა ნამდვილ რკინის გზისაგან. რკინის გზის ლიანდაგი ბაღს გარშემო უვლის. ვაგონები ძლიერ პატარაა; თითო ვაგონში მხოლოდ ორი კაცი ეტევა, ან ოთხი ბავშვი. თვით ასტორი მემაშინეს თანამდებობას ასრულებს ხოლმე, ჩასხავს ვაგონებში თავისს სტუმრებს და ამ რკინის გზით ასეირნებს.

მეორე ამერიკელი მილიონების პატრონი ვინანსი თავისუფალ დროს რევოლვერს ისვრის მიზანში და ისე გავარჯიშებულა ამ საქმეში, რომ დედამიწის ზურგზედ ბადალი არა ჰყავს თურმე.

მესამე მილიონების პატრონი, რომელიც კალიფორნიაში სცხოვრობს და რომელსაც გროში არა ჰქონდა ჯიბეში ამ ქვეყანაში რომ მოვიდა, სიამოვნებით დადის ხოლმე ერთს უბრალო დუქანში, სადაც უწინ სადილობდა და ასე ამბობს თურმე, ეს დუქანი ყველა საუკეთესო რესტორანს მირჩევნიაო.

ერთი ინგლისელი ლორდი, რომელსაც აუარებელი სიმდიდრე აქვს, საღამოობით ჩაიცვამს ხოლმე ძველს ტანთ-საცმელს და ისე დადის თავისს მამულში, რა არის, არავინ მიცნოსო და ძლიერ უხარიან, როდესაც იმის ქვეშევრდომი [ილ]ას ლანძღავს და აგინებს. ერთხელ მაინც გავიგონებ ხოლმე მართალსაო, ეუბნება ხოლმე ეს ახირებული ლორდი თავისს ნათესავებს.

## გამოსადეგი ცნობა

ბაღლინჯოს წამალი: ქვაბში ჩაასხით 6 ჩოქა წყალი და ჩაჰყარეთ ერთი ჩოქა მარილი და კარგად ადუღეთ. მერე ქვაბი გადმოსდგით და გაცივებული ნახარში ღრუბლით წაუსვით იმ ადგილებს, სადაც ბაღლინჯო ბუდობს. ეს წამალი მეტად კარგია. ბაღლინჯო სულ ერთიანად გაწყდება.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

28 იანვარი

**პეტერბურგი.** მთავრობის უწყება. საქმეთა საზოგადო ვითარება აღმოსავლეთ ოსმალეთში, წარსულთან შედარებით, შესამჩნევად გამოიცვალა. ის რევოლიოციონური მოძრაობა კრიტის კუნძულზედ, რომლის წინააღმდეგ რუსეთმა პირველმა ამოიღო ხმა, მოსპობილ იქმნა, შეთანხმებულის მეცადინეობით დიდ სახელმწიფოთა, რომელთაც განაცხადეს სურვილი მიეღოთ ყოველ გვარი ღონისძიებანი, რომ საბერძნეთს კრიტის კუნძული ძალით ხელში არ ჩაეგდოთ. პოლკოვნიკი ვასოსი თავისის ემისარებით იძულებულ შეიქმნა გასცილებოდა კრიტის კუნძულს, სადაც, მხნე მოქმედების წყალობით, დამყარებულ იქმნა, ბევრად თუ ცოტად, წესიერება და მშვიდობიანობა. კრიტის კუნძულის მცხოვრებლებმა ხმა აღარ ამოიღეს საბერძნეთთან შეერთებაზე და სიხარულით მიიღეს ნაბოძები თვით-მმართველობა. დასასრულ, ჩვენის უავგუსტოესის ხელმწიფის მფარველობის წყალობით მოისპო ომი ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის. რწმუნებულნი საბერძნეთის მთავრობისა წავიდნენ კონსტანტინეპოლში, რომ ოსმალეთის რწმუნებულებთან ერთად გამოერკვიათ პირობანი ზავისა, რომელიც შეკრულ იქმნა; ამავე დროს კონსტანტინეპოლში შეკრებილ წარმომადგენელთ ბჭობა ჰქონდათ იმის შესახებ, რომ გამოერკვიათ პირობანი კრიტის კუნძულის თვითმმართველობისათვის, ვინაიდგან ამ კუნძულის მფარველობა იკისრეს დიდ სახელმწიფოთ. რადგანაც ამ თვითმმართველობისათვის უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო წესიერების დამყარება კუნძულზედ და მთავრობის დაარსება, — ხოლო ყველა დიდ სახელმწიფოთა მიერ წარდგენილი ღონისძიებანი არც ერთი არ განხორციელდა. ამიტომ, ზემოხსენებულ გარემოებათა მიხედვით, რუსეთმა შესაძლებელად სცნო განეცხადებინა კანდიდატურა საბერძნეთის ბატონიშვილის გიორგისა, რომლის დანიშვნას კრიტის კუნძულის გუბერნატორად ის შედეგი მოჰყვებოდა, რომ სამართლიანი სურვილი კრიტის კუნძულზედ მცხოვრებ ქრისტიანებისა დაკმაყოფილებულ იქმნებოდა და გარდა ამისა ეს გარემოება საბუთი იქმნებოდა იმისი, რომ დამშვიდებულ იქმნებოდნენ მთელის საბერძნეთის მცხოვრებნი, რომლებიც დიდის შიშით შესცქერიან თავიანთ თანამემამულეთა მომავალს და ძნელად გამოსაცნობს ბედ-იღბალს. კანდიდატურა ბატონიშვილის გიორგისა თანაგრძნობით იქმნა მიღებული საფრანგეთისა, ინგლისისა და იტალიის მიერ, მაგრამ მას წინ აღუდგნენ გერმანია, ავსტრია და თვით სულთანი, რომელიც ურყევად მაგრადა სდგას იმაზედ, რომ კრიტის გენერალ-გუბერნატორად დანიშნულ უნდა იქმნეს ოსმალეთის ქვეშევრდომიო. ოსმალეთის მთავრობამ ეს სურვილი არა ერთხელ განუცხადა რუსეთს, მაგრამ ჩვენმა მთავრობამ ყოველთვის ერთი და იგივე უპასუხა, რომ არც ერთი დიდი სახელმწიფო არ დასთანხმდება ოსმალეთის ქვეშევრდომის კანდიდატურაზე და ვინაიდგან ყველა დიდ სახელმწიფოთა მთავრობამ ერთ ხმად გადასწყვიტა ხელი შევუშალოთ კრიტის კუნძულზედ ოსმალეთის ჯარის გამრავლებასაო, სულთანს აღარ ექმნებოდა არავითარი საშუალება, რომ კრიტის კუნძულზედ გენერალ-გუბერნატორად ოსმალეთის ქვეშევრდომი დაენიშნა. რუსეთმა რომ განაცხადა, გენერალ-გუბერნატორად ბატონიშვილი გიორგი იქმნეს დანიშნულიო, სახეში ჰქონდა განეყოფელობა ოსმალეთის იმპერიისაა, — რადგან ბატონიშვილმა გიორგიმ განაცხადა სულთანის ბატონობას (სიუზერენობას) დავემორჩილებიო, — და გარდა ამისა რუსეთს უნდოდა უზრუნველ ყოფილიყო მშვიდობიანობა აღმოსავლეთში და ამისათვის საჭირო იყო კრიტის მმართველად დანიშნულიყო ისეთი კაცი, რომელსაც შესძლებოდა დაემყარებინა იქ სრული მშვიდობიანობა, დაეცვა საჭირო ავტორიტეტით გუბერნატორის უფლებანი და აგრეთვე მფარველობა გაეწია კრიტის კუნძულის მცხოვრებთათვის, როგორც ქრისტიანებისთვის, ისე ოსმალელთათვის. ასეთია ერთად ერთი აზრი რუსეთის მიერ წარმოდგენილ უანგარო გარდაწყვეტილებისა კრიტის საქმის შესახებ. ამ გარდაწყვეტილებას შეუძლიან ერთხელ და სამუდამოდ მოსპოს ყოველივე საბუთი დიდ სახელმწიფოთა მიერ გარევისა კრიტის საქმეში, ის საბუთი, რომელიც დრო გამოშვებით სისხლის ღვრას გამოიწვევს ხოლმე კრიტის კუნძულზედ. რუსეთმა გულ-წრფელად განუცხადა როგორც სულთანს, აგრედვე დიდ სახელმწიფოთ თვისი აზრი კრიტის საქმის ეხლანდელ ვითარების შესახებ, ხოლო ამასთანავე არავის ძალას არ ატანს — უეჭველად ჩემი გარდაწყვეტილება იქმნას შესრულებულიო. რომელსამე დიდს სახელმწიფოს რომ სხვა აზრი წარმოედგინა და ამ აზრს შესძლებოდა გამოხსნა ეხლანდელ საქმეთა ვითარების ნასკვისა და ამავე დროს ამ გარდაწყვეტილებას რომ შესძლებოდა დაეკმაყოფილებინა მოთხოვნილებანი სულთანისა და დიდ სახელმწიფოთა და გარდა ამისა სურვილი თვით კრიტის მცხოვრებთა და თუ ამავე გარდაწყვეტილების შემწეობით შესაძლებელი იქმნებოდა შემდეგში საბოლოვოდ გათავებულიყო საქმე კრიტის კუნძულისა — მაშინ, რა თქმა უნდა, რუსეთის მთავრობა არ დააყოვნებდა თავისის თანხმობის გამოცხადებას. მაგრამ ასეთი რთული საქმე ძლიერ ძნელად შესასრულებელ საქმედ მიგვაჩნია და სწორედ ამიტომ რუსეთმა არ იკისრა რომელსამე ახალ წინადადების გამოცხადება. რუსეთმა, დარჩა რა საუკეთესო განწყობილებაში ოსმალეთთან და ევროპის იმ დიდ სახელმწიფოებთან, რომელთაც არ თანაუგრძნეს მისს წინადადებას, დაუყოვნებლივ შეატყობინა ევროპის სახელმწიფოთა მმართველობათ, რომ ამიერიდგან პასუხს არ ვაგებ, თუ ვინიცობაა, ცუდი რამ შედეგი მოჰყვა კრიტის საქმესაო, აგრედვე არას გზით არ მივცემ ნებას, რომ ოსმალეთის ჯარი გაძლიერებულ იქმნას კრიტის კუნძულზედ და აგრედვე არავითარს მონაწილეობას არ მივიღებ ძალმომრეობის ღონისძიებაში წინააღმდეგ კრიტის კუნძულის მცხოვრებთა, რომელნიც ესოდენ დიდ ხანს მოთმინებით ელოდებიან თავისის ბედ-იღბლის ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტას.

**პარიჟი.** „მართლ-მსაჯულების“ სასახლიდგან გამოსვლისათანავე ზოლას გარეშემო ხალხი შემოეხვია, რომელიც გაიძახოდა: „გაუმარჯოს ზოლას!“ „შორს ჩვენგან ზოლა! სიკვდილი ზოლას!“ მეგობრებისა და პოლიციის და მარებით ზოლა მივიდა და ეტლში ჩაჯდა. ის კაცი, რომელიც იძახოდა: „გაუმარჯოს ზოლასაო“ ბრბომ ძლიერ სცემა. როშფორის გამოსვლისათანავე ხალხმა დაუწყო ყვირილი: „გაუმარჯოს როშფორს, გაუმარჯოს ჯარს!“ ორი კაცი დაპატიმრებულ იქმნა.

**პარიჟი.** ზოლას საქმის განხილვაა. შერერ-კესტნერი ამბობს, რომ გენერალ გონზის წერილებით დავრწმუნდი, რომ დრეიფუსი ამ საქმეში მართალია. მოწმე წერილების წაკითხვას თხოულობს. სასამართლოს თავმჯდომარე უარს აცხადებს. ლაბორი წერილების წაკითხვას თხოულობს. თავმჯდომარე ნებას აძლევს შერერ-კესტნერს წერილების საერთო შინაარსი მოახსენოს სასამართლოს. 7 სექტემბერს 1896 წ. გენერალი გონზი სწერდა პიკარს: „ძვირფასო პიკარ, საქმის გამოძიება გააგრძელეთ, მხოლოდ ფრთხილად“. შემდეგ სწერდა: „თუ ამ მეხლამდის გამოიძიე, ეცადე სიმართლე როგორმე აღმოაჩინოო“. შერერ-კესტნერმა შემდეგ განაცხადა, რომ როდესაც მე გენერალ ბილიოს ვსთხოვე საქმე გამოიძიე მეთქი, დამპირდა, მაგრამ მოწმემ ტყუილად იცადა. შერერ-კესტნერის შემდეგ კაზიმირ-პერიეს ჩამოერთვა ჩვენება, რომელმაც მხოლოდ ის განაცხადა, რომ მე არაფერი ვიცი ამ საქმის შესახებ, რადგან იგი ჩემ პრეზიდენტობის შემდეგ მოხდაო. კონსტიტუციისადმი მოვალეობა ნებას არ მაძლევს ვსთქვა რამე, მაგრამ როგორც უბრალო მოქალაქე მე მზადა ვარ მართლ მსაჯულებას დავექვემდებაროო. ამ სიტყვებს დიდის ტაშის ცემით მიეგებნენ და დიდი თანაგრძნობა გამოუცხადეს კაზიმირ-პერიეს. შემდეგ სასამართლომ ბანკირის კასტროს ჩვენება მოისმინა, რომელმაც ესტერგაზის წერილები შეადარა ბორდეროს ნაწერს. საქმის განხილვა გადაიდო ხვალისათვის.

**ბერლინი.** რეიხსტაგი. სტატს-სეკრეტარმა ფონ-ბიულოვმა ილაპარაკა ჩინეთის შესახებ, კიარჩაუს ხელ-შეკრულობაზედ შეკრებილ ცნობების სიმართლე დაამტკიცა და განაცხადა, რომ ჩინეთი დასთანხმდა გერმანელ-ჩინეთის სარკინის-გზო ამხანაგობას კიაუ-ჩაუდგან ჯერ ჩრდილოეთისკენ გაიყვანოს რკინის გზა და შემდეგ დასავლეთისკენ, სადაც უნდა შეუერთდეს განზრახულ ჩინეთის დიდ რკინის გზის ლიანდაგს. ამ რკინის გზამ უნდა გაიაროს კიაო-ჩაუს ჩრდილოეთით მდებარე ქვა-ნახშირის მადნის მახლობლად. შემდეგ ბიულოვმა განაცხადა, რომ კიაო-ჩაუს დაჭერით ჩვენ და სხვა სახელმწიფოთა შორის დამოკიდებულება არაფრით არ შეცვლილა. „გერმანია ისევ თანხმობითაა რუსეთთან, ევროპაში ჩვენი და რუსეთის ინტერესები ერთიერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან (მოწონების ხმა გაისმა) აზიაში კი თითქმის სრული თანხმობაა. რუსეთის გაძლიერება ჩვენ, როგორც ნამდვილ მეგობართ არა გვშურს და თანაგრძნობით ვეგებებით (მოწონების ხმა). ჩვენ წინააღმდეგნი არა ვართ იმისი, რომ საფრანგეთი ტონკინში თავისთვის ახალს გზებს ეძებს. ჩვენ აგრედვე შორსა ვართ იმაზე, რომ სადმე ან როგორმე წინაღმდეგობა გავუწიოთ ანგლისის ინტერესებს (მოწონების ხმა). მიუხედავად ინგლისის ჟურნალ-გაზეთების მიერ წარმოთქმულ აზრებისა, ინგლისის მმართველობას ეჭვი არა აქვს, რომ საქმე სხოლოდ კულტურულ წარმატებასა და მთელის ქვეყნის მშვიდობიანობას შეეხება და ამიტომ ვცდილობთ ერთად ვიმოქმედოთ (მოწონების ხმა). ბატონიშვილის გიორგის კანდიდატურის შესახებ ბიულოვმა სთქვა: „ოსმალეთი რომ ამ საქმის შესახებ სხვა დიდ სახელმწიფოებთან მორიგებულიყო, ჩვენ ამის წინააღმდეგ არა გვეთქმოდა რა; მაგრამ, რაკი უთანხმოება ჩამოვარდა, ჩვენ განზე ვდგებით. ვიქცევით რა ამ გვარად, ჩვენ სრულიად წინააღმდეგნი არა ვხდებით რუსეთისა, რომელთან გვაზავშირებს ჩვენ არა მარტო დიდი ხნის ძ საპატიო ტრადიციები, არამედ მრავალი დიდ მნიშვნელოვანი ინტერესები და რომლისაგან ჩვენ არ გვაშორებს არავითარი სიძულვილი“.

**ბერლინი.** რეიხსტაგი. კრიტის საქმის შესახებ ბიულოვმა სხვათა შორის სთქვა, რომ გერმანიას მხოლოდ ისა ჰსურს, რომ კრიტის გამო უთანხმოება არ მოხდეს. გერმანია არას გზით არ იზამს, რომ ამ საქმის გამო ბრძოლაში ჩაითრიონ. აქედგან წარმოსდგება აგრედვე გერმანიის ქცევა და აზრი ბატონიშვილის გიორგის კანდიდატურის შესახებ. გერმანია არავითარს მონაწილეობას არ მიიღებს, რომ ოსმალეთს ძალა დაატანონ. რაკი ევროპის კონცერტს დისონანსი დაეტყო (ხმების შეუთანხმობა) გერმანია ხმაამოუღებლივ ანებებს საკონცერტო დარბაზს. საბერძნეთის შესახებ ქცევაში გერმანია ხელმძღვანელობდა ერთის მხრივ მშვიდობიანობის დაცვის სურვილით და მეორეს მხრით თვით გერმანიის ინტერესებისა და საბერძნეთის კრედიტორთა ინტერესებისადმი ყურადღებით.

29 იანვარი

**ლონდონი.** ლორდთა პალატა. ლორდმა სოლსბერიმ განაცხადა, რომ სიამოვნებით ვეგებები რუსეთის მიერ წარმოდგენილ კანდიდატურას ბატონიშვილის გიორგისას, რადგან ამის წყალობით ბოლო მოეღება კრიტის კუნძულზედ დამყარებულს სამწუხარო ვითარებასაო. *)

*) 28 იანვრის დეპეშა მივიღეთ 29 იანვარს, საღამოს 8 საათზე, ხოლო 29 იანვრის დეპეშა ღამის $12^1/_2$ საათზედ. 29 იანვრის დანარჩენი დეპეშა ხვალ დაიბეჭდება.

რედ.


# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაო საცნობელად აცხადებს, რომ ვინც ქუჩის პირზედ დარგულ ხეებსა და ქალაქის ბაღებისას წაახდენს და დაამტვრევს, იგი კანონიერს პასუხის-გებაში იქმნება მიცემული.

(2—б.—2).

## იძლევა ქირით

ნიკოლოზის ქუჩაზედ, საგინაშვილის სახლში, № 21.

ზემო სართულში **ხუთი ოთახი** თავისის მოწყობილობით.